ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 454

"13" სექტემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ევროპროდუქტს" (ს/ნ. 202227134) შორის 2020 წლის 26 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-509-18-24971 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის და 127² მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ევროპროდუქტს" (ს/ნ. 202227134) შორის 2020 წლის 26 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-509-18-24971 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 4 სექტემბრის №24.1491.1692 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გაუქმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ევროპროდუქტს" (ს/ნ. 202227134; უფლებამონაცვლე: შპს „ჯი-თი გრუპის" ს/ნ. 200119923) შორის 2020 წლის 26 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-509-18-24971 ხელშეკრულების „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების შემდგომ".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე